

## ტრაგედიის მომავალი

ცნობილი ფრანგი მოაზროვნის, შეურლისა და დრამატურგის ალბერ კამიუს შემოქმედებაში თეატრალურ ექსისტიკას მაინცდამაინც მნიშვნელოვანი ადგილი არ ეთმობა. კამიუს ხელ სამი თუ ოთხი თეატრალური ექსის ავტორია, თუმცა მის დღიურებში ხშირად შევხვდებით ადგილებს, სადაც იგი თავს მოსაზრებებს გამოთქვამს თეატრის ხელოვნების შესახებ.

ათენში 1955 წელს წაკითხული მოხსენება „ტრაგედიის მომავალი“ საყრანგეთში პირველად 1962 წელს დაიძებდა კამიუს ნაწარმოებთა სრულ აკადემიურ გამოცემაში. ამ მოქლე, გაგრამ მსჯელობათა და განსჯით უხვად გაჯერებულ ტექსტში ნათლად ამოკითხება თეატრისა და კონკრეტულად

ტრაგედიის კამიუსეული კონცეფცია, რომელიც რა თქმა უნდა, იხევ და ისევ „ხიზიფეს მითისა“ და „ამბოხებული ადამიანის“ პრობლემატიკასა და მსოფლმხედველობაზე დამფარებული.

ქართველი მკითხველი, აღმათ, ინტერესით გაეცნობა ამ ტექსტს, მით უფრო, რომ კამიუს მიერ წამოვალებული ტრაგედიის შექმნისათვის აუცილებელი ყველა წინაპირობა, ვეფიქრობ, სწორედ აქ, ჩვენთან, არსებობს. დღეს, ჩვენი საზოგადოება აღმოჩნდა ისტორიის იმ საბედისწერო მოსახვევში მოქცეული, სადაც „ენით უთქმები ბოროტება“ ტრიალებს... მაგრამ იქნებ გენიოსის დაბადების დრო დადგა.

მთარგმნელი,

ერთი აღმოსავლელი ბრძენი ღოცვისას ღმერთს ეველრებოდა: უფალო, ნუ გამწირავ და განსაკუთრებულ ვპოქში ცხოვრებას მომარიდეო. ჩვენი ეპოქაც განსაკუთრებული, და აქედან გამომდინარე, ტრაგიკულიცაა, მაგრამ

გვაქვს კი ამ ეპოქაში ისეთი თეატრი, რომელიც ცოდვათაგან გაგწმინდავს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გვაქვს თანამედროვე ტრაგედია?

ამ კითხვას ხშირად უსვამ ჩემს თვეს და თანაც ვიჰეობ, ხომ არ მიე-



ქუთვნება იგი ისეთ კითხვათა რიგს.  
როვორიცა: „გვეყოლება თუ არა კა-  
რგი მთავრობა?“; „გვედირსება თუ  
არა ოდესმე თავმდაბალი მწერლობა?“;  
„დადგება თუ არა დრო, როცა მდიდ-  
რები თავის ქონებას დარიბებს გაუნა-  
წილებენ?“ და ა.შ. ეს კითხები, თავ-  
ისთავად, ძალიან საინტერესოდ შეიძ-  
ლება ჩაითვალოს, მაგრამ ისინი, სამ-  
წუხაროდ, ოცნებისაკენ უფრო მოგვი-  
წიდებენ, ვადრე განსჯისა და დაფიქ-  
რებისაკენ...

მაგრამ, არა! ჩემი მთავარი კითხვა  
ტრაგედიის შესახებ მაინც მართებულ-  
ად მეჩვენება, რადგან ჩემის აზრით,  
თანამედროვე ტრაგედიის არსებობას  
ორი კანონზომიერება გვიდასტურებს,  
უპირველეს ყოვლისა მინდა აღვინიშ-  
ნო ის ფაქტი, რომ ტრაგიკული ხელ-  
ოვნების განვითარება ისეთ საკუნძო  
პერიოდებს ემთხვევა, როცა ხალხთა  
ცხოვრება ერთდროულად დიდებითა  
და გასაჭიროთ არის დამძიმებული,  
მომავალი ეჭვითა და ბინდითა მო-  
ცული, ხოლო აწყო დაძაბული და  
დრამატულია. შეგახსენებთ, რომ ეს-  
ქილე ორი ომის მონაწილე გახლდათ,  
შექსპირი ენით უთქმებ ბოროტებათა  
მომსწრე იყო. ამასთანავე საგულისხ-  
მოა ისიც, რომ ისინი ისტორიის ერ-  
თნაირად დაბატულ და უკიდურესად  
საშიშ მოსახვევებში იყვნენ მოქცეუ-  
ლნი.

დასავლეთის ქვეყნების ოცდათსაუკუ-  
ნოვან ისტორიაში, დორიკულებიდან  
მოყოლებული ატომურ ეპოქამდე,  
ტრაგიკული ხელოვნების დროსა და  
სიგრუმი ზუსტად მონიშნული ირი  
მონაკვეთი გამოიყოფა. პირველი ბერ-  
ძნული გახლვათ. მას უკიდურესი მო-  
ნოლითურობა ახასიათებს და ერთ სა-  
უკუნეს მოიცავს ესტილებან ვიდრე  
ვერიპიდემდე. მეორე პერიოდი გაცი-  
ლებით ხანგრძლივია და დასავლეთ  
ევროპის მოსახლეობა ქვეყნების ტერი-  
ტორიაშიც ვრცელდება: თითქმის არ-  
ავის შეუმჩნევა, რომ ინგლისური  
ელისაბედისეული, ოქროს ხანის ეს-  
პანური და XVII საუკუნის ფრანგული

თეატრის ესოდენ მნიშვნელოვანი მდგრა-  
დებება თითქმის თანადროული მოვ-  
ლენა იყო. შეგახსენებთ, რომ შექსპი-  
რის გარდაცვალებისთვის ლოპე დე  
ვეგა 54 წლისაა, მისი პიესების დიდი  
ნაწილი უკვე შექმნილი და წარმოდ-  
გენილია ესანურ სცენაზე, ხოლო კა-  
ლედორონი და კორნელი უკვე დაბადე-  
ბული არიან. ამგვარად, შექსპირს რა-  
სინისაგან დროის იგივე მონაკვეთი  
აშორებს, რაც ესქილეს ერთიპიდესა-  
გან. უნდა გავითვალისწინოთ აღბათ  
ისიც, რომ ისტორიული განვითარების  
თვალსაზრისით საქმე ეხება განსხვა-  
ვებული ესთეტიკის მქონე ერთ უძლი-  
ერეს პროცესს – იმ შესანიშნავ აღ-  
მაფრენას, რომელსაც აღორძინებას  
უწოდებთ. იგი ელისაბედისეული თე-  
ატრის შთაგონებულ ორომტრიალშია  
აღმოცენებული და ფრანგული ტრა-  
გედიის ფორმისეული სრულყოფით  
მთავრდება.

ტრაგედიის განვითარების ორ მწვე-  
რავალს შორის თითქმის ოცი საუკუ-  
ნეა მოქცეული. დროის ამ უზარმაზარ  
მონაკვეთზე ქრისტიანული მისტერიის  
გარდა ვერაფერს ვხედავთ. მისტერია,  
უდაოდ დრამატულია, მაგრამ ტრაგი-  
კული სულაც არ არის. მოგვიანებით  
ამის მიზნებსაც მოგახსენებთ. ახლა კი  
ისევ ჩენს მთავარ საკითხს დაუბრუ-  
ნდეთ და ვაღიაროთ, რომ ტრაგიკული  
ხელოვნების აღმავლობა ყოველთვის  
ემთხვევა ისტორიული პროცესის ის-  
ეთ საკვანძო პერიოდებს, რომელიც  
სწორედ განსაკუთრებულობის გამო  
დიდ ინფორმაციას გვაწვდიან ტრაგი-  
კული ბუნებისა და თვით ტრაგედიის  
შექმნის პირობების შესახებ. ეს სა-  
კითხი საგანგებო ფურადლების დირსია  
და ჩემი ღრმა რწმენით, ისტორიკოს-  
ებმა მოთმინებითა და სიზუსტით უნ-  
და შეისწავლონ იგი. ეს კი ჩემს შესა-  
ძლებლობებს აღემატება და ამიტომ  
მე მხოლოდ თვატრის მოტრფიალის,  
თვატრის მოკრძალებული მსახურის  
ნაზრეს გაგიზარებთ. თუ ფრანგდე-  
ბით შევისწავლით ამ ეპოქისათვის მა-  
ხასიათებელ აზრთა დინებას და მათ



ანარეკლს ძველ ტრაგედიებში, უნებლეთ ერთ ჭეშმარიტებას წავაწყდებით: ორივე გაოქა აზროვნების კოსმიურ ფორმებს შორის გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს. ეს საფეხური ჯერ კიდევ ღვთაებრივი და წმიდათაწმიდა ცნებებითაა განმტკიცებული, მაგრამ ინდივიდუალობით და რაციონალისტური აზროვნებით ხასიათდება. გზა, რომელსაც ტრაგედია, თავის განვითარებაში ესქილედან ევრიპიდოდებულ გაივლის, საბოლოოდ დემტხვევა იმ გზას, რომელსაც დიდი მოაზროვნე სოკრატემდელი ფილოსოფი თვითონ სოკრატემდე გაივლიან (სოკრატე, როგორც ცნობილია, არად აგდებდა ტრაგედიას, თუმცა ევროპიდეს შემოქმედებას გამონაკლისად თვლიდა). შექსპირის ტრაგედიებიდან კინელის შემოქმედებამდე განვითარების იგივე სურათი გვესახება. პნევლითა და ამოუხსნელი სასწაულებით მოცული სამყარო, რომელიც ჯერ კიდევ შეა საუკუნებს მიეკუთვნება. ინდივიდუალურ ღირებულებათა სამყაროდ გარდაიქმნება; სამყაროდ, რომელიც ადამიანის ნებისყოფითა და გონებით არის განპირობებული და გაძლიერებული (რასინის ნებისმიერ ტრაგედიაში საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვა შეგნებისა და განსჯის შედეგია) საბოლოო ჯამში ეს ის მოძრაობაა, რომელიც შეა საუკუნების მგზებარე თურლოვები დეკარტემდე მიიყვანა. ევოლუცია ორივე გპოქში, კ. ი. ორივე შემთხვევაში, ერთნაირია, თუმცადა სიმარტოვისა და ლოკალურობის გამო საბურძნეთის მაგალითი უფრო ნათელი და მარვლისმთქმელია. ყოველთვის, როცა პიროვნება წმიდათაწმიდას განეხსებისგან, იგი ძრწოლით აღსახსე ძეველ, ღვთისმოსავ სამყაროს პირისპირ თითქოს შიშველი დგება; ყოველთვის. ასეთ პერიოდებში, სარიტუალო ტრაგედიისა და საზეიმო რელიგიის დაგენერაციაში აზროვნების მიუღიანდება აზროვნების საბოლოო გამარჯვება საუკუნეთა მანძი-

ლზე (IV საუკ. საბურძნეთში, XVII საუკუნეთში განსაზღვრავს და აფალიბებს როგორც თვით ტრაგიკულ ჟანრს ასევე მის პროდუქციას.

როგორ ეხმაინება ყოველივე ეს ღვევანდელობას? რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ ამ დაკვირვების შედეგად? უპირველეს ყოვლისა ერთ ძალიან ზოგად მოსაზრებას გავიზიარები; ტრაგედიის განვითარების ხანა თითქმის ყოველთვის ემთხვევა ისეთ ევოლუციას, როცა პიროვნება, ნებით თუ უნებლიერ, ცივილიზაციის ძველ ფორმებთან ნებისმიერ კავშირს წყვეტს და მიუხედავად იმისა, რომ არსებობის ახალი ფორმები ჯერ კიდევ არა აქვს შეთვისებული, ძველ სამყაროს აჯანყებული და განსხვავებული დაუღვება პირისაირ. 1955 წელს ჩვენ სწორედ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდით, ამიტომ საკითხი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: აისახოს თუ არა ტრაგედიაში გარესამყაროსთან ჩვენი შინაგანი უთანხმოება? ცჭესა და სიფრთხილეს მიძლიერებს იღუმალების ის ოცი საუკუნე, ევრიპიდე შექსპირისაგან რომ დაამორა. ამასც რომ თავი დავანებოთ, ტრაგედია უიშვიათესი ყვავილია და იმედი, რომ მისი ყვავილობა სწორედ ჩვენს ეპოქას დაამშვენებს, ძალიან მცირეა. ამის საპირისპიროდ არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომელიც გვამხნევებს და იმედის ნაპერწერალსაც ანთებს ჩვენში. მხედველობაში მაქვს ის უჩვეულო ფენომენი, რომელიც უაკრძალის რეფორმის შემდეგ ჩვენთან, საფრანგეთში აგრე უბრვე ცდიდათი წელია შეინიშნება. ეს არის ჭეშმარიტად ნიჭიერი მწერლების მიბრუნება თეატრისაკენ, რომელიც აქამდე სცენის მეწარმეთა და ვაჭართა ხელში იყო მოქცეული. მწერლების ჩარევა, აღბათ, ტრაგედიის ფორმის განახლებას მოიტანს და ამ უძველეს უანრებს სხვა უანრებს შორის საკადრის ადგილსაც მიუჩენს. კოპოს რეფორმამდე (კლოდელი გამონაკლისია, მაგრამ მას აღარავინ თამაშობს) თეატრალური თავგანწირვის პრივილეგირებულ ად-



გილად, მის ერთადერთ მსხვერპლშე-  
საწირად ორადგილიანი საწოლი იქცა.  
თუ პიგსა წარმატებით სარგებლობდა,  
მსხვერპლშეწირვა და, შესაბამისად,  
საწოლებიც მრავლდებოდა. ერთი სი-  
ტყვით, კომერცია ისევე მძიმე ტვირ-  
თად დააწვა თეატრს, როგორც ნების-  
მიერ სხვა დარგს, სადაც ფული ტრი-  
ალებდა. ამის თაობაზე კოპი წერდა:

„იმ გრძნობას, რომელიც ჩვენ  
დღის გვაშფოთებს, იმ ვნებას, რომელ-  
იც მოქმედებისაკენ მოვიწიდებს და  
იმავდროულად გვიმორჩილებს კადეც;  
აღშფოთება ეწოდება. აღვირახსნილი  
წარმოება დღითიდლე აბეჩავებს საფრ-  
ანგვითის სცენას და მაყურებელს გულს  
უცრუებს თეატრზე. თეატრების უმ-  
რავლესობა ხელთ იგდეს ყბედების  
კრითიკა მუჭამ და ჯიბესქელმა, უსინდ-  
ისო ვაჭრებმა. ყველგან და განსაკუთ-  
რებით, იქ, სადაც სიწმინდე ძირდებოდა  
ტრადიციას ოდნავ მაინც უნდა დაცვა,  
თვალთმაქცობა, სცენულაცია, სიყალებ  
და სიმდაბლეა გაბატონებული. ყველ-  
გან ფასების უზომო ზრდა და პარაზი-  
ტული მომაკვდავი ხელოვნების ბილუ-  
ბუნების გამომზეურება მიმდინარეობს,  
ყველგან უსიცოცხლობას, უფაირათო-  
ბას, არეულობას, უწესრიგობას, უკი-  
ცობასა და სისულელეს ვხედავთ,  
ვხედავთ შემოქმედისაბმი ზიხლს,  
და სილამაზის უარყოფას... პროდუქ-  
ცია უმტესწილად ფუჭი და სულე-  
ლურია, კრიტიკა შემთანხმებლური,  
მაყურებლის გემოვნება გაუფასურე-  
ბული...

სწორედ ეს გვაშფოთებს დღეს,  
სწორედ ეს გვტანჯავს და გვიბიძებს  
ამბოხებისაკენ...“ ამ, ერთი შეხედვით  
ფუჭი ამოკვნესის შემდეგ, რომელ-  
საც „ძველი სამტრედის“ შექმნა მოჰ-  
ყვა, ჩენმა თეატრმა და ეს გადაუხდე-  
ლი ვალია კოპოს წინაშე, ნელ-ნელა  
დაიბრუნა სიტყვის კეთილმოილება,  
უკრო რომ ვთქვათ, დაიბრუნა სახე  
და სტილი. ანდრე ფილმა, მარტენ დუ  
გარმა, უიროდუმ, მონტერლანდა და  
სხვებმა ფრანგულ თეატრს ძველი დი-  
დება და საუკუნის მიღმა დაკარგული,

თუ მივიწყებული ამბიციები დაუკარისტეს  
თეატრის ირგვლივ წამოწყებულმა  
გაცხოველებულმა მსჯელობამ და აზ-  
რთა გაცვლა-გამოცვლამ, ანტონენ არტ-  
ოს შესანიშნავმა წიგნმა „თეატრი და  
მისი ორეული“ და უცხოელ თეორე-  
ტიკოსთა, მათ შორის გორდონ კრე-  
გისა და აპიას ზეგავლენამ, ტრაგედი-  
ის ხელოვნება კვლავ ჩვენს საზრუნა-  
ვთა ეპიცენტრში მოაქცია.

ახლა შევაჯამებ ჩემს დაკვირვებებს  
და კიდევ ერთხელ და უფრო ნათლად  
შემოვხახავ თქვენს წინაშე წარმოდ-  
გენილი პრობლემის არსეს. ჩვენი ეპო-  
ქა ემთხვევა ცივილიზაციის განვითარე-  
ბის ისეთ დრამატულ პერიოდს, რომე-  
ლიც დღეს, როგორც ოდესადაც, ტრა-  
გიკულის წარმოჩნდისათვის ყველა სა-  
არსებო პირობას ქმნის. საფრანგეთსა  
და სხვა ქვეყნებში მოღვაწე მწერლები  
ყველანაირად ცდილობენ თანამდერო-  
ვე ტრაგედიის შექმნას. არის თუ არ-  
ეს ოცნება გრინვერული? არის თუ არა  
ეს მცდლობა რეალური? რა პირობე-  
ბია აუცილებელი ამისათვის? აი, ჩემის  
აზრით, იმ საჭირობოროტო საკითხთა  
რიგი, რომელიც აღელვებს მათ, ვანს  
თეატრში მეორე სიცოცხლეს ეძებს.  
რა თქმა უნდა, ამ საკითხზე დღეს ამო-  
მწურავად ვერავინ გვიპასუხებს, ვერც  
ვერავინ გვეტყვიას: „პირობები ხელსა-  
ყრელია, ტრაგედია იქნება!..“ ამიტომ  
მე მხოლოდ იმ რეალურ მოსაზრებებ-  
ზე შევჩერდები, დასავლეთის კულტუ-  
რის მსახურთა იმედებს რომ ემყრება.

უპირველეს ყოვლისა გავარკვიოთ  
რა არის ტრაგედია. ლიტერატურის  
ისტორიკოსებმა და თვით მწერლებმა  
დიდი ღრივი და ენერგია დაახარჯეს ტრა-  
გედიის განსაზღვრას, მაგრამ საბო-  
ლოოდ ვერაფერზე შეთანხმდნენ. პრო-  
ბლემა, რომელმაც არა ერთი ჭეკვიანი  
ადამიანი შეაფიქრიანა, საბოლოოდ  
ვერც მე გადავჭრი, მაგრამ სხვადასხ-  
ვა აზრის შეპარისიპირებით შევეცდები  
მაინც გავარკვიო, რით განსხვავდება  
ტრაგედია დრამისა და მელოდრამისა-  
გან. ჩემის აზრით, განსხვავება შემდე-  
გში მდგომარეობს: ტრაგედიაში შე-

პირისპირებული ძალები თანაბრად უფლებამოსილი და გონიერია, მეღოდრამასა და დრამაში კი, პირიქით, მხოლოდ ერთი მათგანია კანონიერი და სამართლიანი. სხვაგვარად რომ კოქიათ, ტრაგედია ორშერიცვად ძლიერი და ღრმაა, დრამა კი მარტივი და სწორხაზოვანი. ტრაგედიაში ნებისმიერი ძალა ერთდროულად ბორიტიცაა და კეთილიც. დრამაში ერთი — ბორიტებას ასახიერებს, მეორე — სიკეთეს. (სწორედ ამიტომ პროპაგნდაზე აგტული დღევანდელი თეატრი მეღოდრამის განახლებას უფრო წააგავს). ჩემის აზრით, ანტიგონე მართალია, მაგრამ არც კრეონტია მტყუანი, პრომეთე ერთდროულად უდანაშაულოცაა და დამანაშავეც, ხოლო მისი დაუნდობლად მტანჯველი ზევსი, უდანაშაულოცაა და აღმართლებლია. მეღოდრამის ფორმულა, აღბათ, ასეთი უნდა იყოს: „ერთი და იგივე ძალა მართალიცაა და გამართლების ღირსიც“, ტრაგიულის ფორმულას კი ასე ჩამოყალიბებდი: „ყველას ვამართლებ, მართალი კი არავინ არის“. ამიტომაც ანტიგონი ტრაგედიის ქორო სიფრთხილესა და წინდახებულობას ქადაგებს. მან იცის, რომ გარკვეულ მიჯნამდე კველა მართალია, ხოლო ის, ვინც უკუნურობით თუ ვნებათა ღელვათ ჰეშმარიტების მიჯნას გადაღასაეს, დაღუპვას ვერ გადაურჩება. გმირი კატასტროფამდე შეიძლება მიიყვნოს ყალბმა რწმენამ, რომ ჰეშმარიტება, რომელსაც ის ემსახურება, ერთადერთია და ხელშეუხებელი. ამგვარად, ანტიგონი ტრაგედიის უცელელი თემა არის ზღვარი, რომელიც აღამიანა არ უნდა გადაღასხოს. ♦♦ ზღვარზე ერთმანეთს ეჯახება ორი, მუდმივ მომრაობაში მყოფი, სწორუფლებიანი ძალა; ამ ზღვარზე ნებისმიერი შეცდომა, ან წონასწორობის დარღვევის სურვილი თვითგანადგურებას ნიშნავს. „მაგბეტისა“ და „უცდრაში“ (ამ უკანასკნელში ნაკლებად, ვიდრე ბერძნულ ტრაგედიები) იგივე ზღვარის იღეას ვხედავთ; ზღვარისა, რომ-

ლის გადაღასხვა ან უგულებელყოფა, სიკეთებისა და უბედურების მომტანია. ამგვარად ნათელ ხდება თუ რატომ არის იღეაღური დრამა, ისევე როგორც რომანტიკული, უპირველს ყოვლისა, მომრავი და ქმედით; სწორედ იმიტომ, რომ მასში სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა და ამ ბრძოლის პერიტეტიებია ნაჩვენები. იდგაღური ტრაგედია, განსაკუთრებით კი ძველბერძნული, დრამისაგან განსხვავებით დაბაძულობას ქმნის. იმ დაჭიმულ დაბაძულობას, რომელიც გაპირობებულია სიკეთის და ბოროტების ორმაგი ნიღბით შემოსილი, ორი ტრლფასა ძალის შეჯახებით წარმოქმნილი გახელებული უძრაობით, თავისთვავად ცხადია, რომ დრამასა და ტრაგედიის ორ უკადურებს სახეობას შორის დრამატურგია სხვადასხვა ტიპის შუალედურ უნარებსაც გვთავაზობს.

მაინც წუ გადაჭუხვევთ წმინდა ფორმებს და საკოთხო შემდეგნაირად დავსვათ: — რას წარმოადგენს ეს ორი ძალა, რომელიც, მაგალითად, ანტიგონ ტრაგედიაში, ერთმანეთს უპირისპირდება? თუ მაღალი ტრაგედიის ნიმუშად „მიჯაჭვულ პრომეთეს“ ავირჩევთ, დავინახავთ, რომ აქ შეკერებულია ერთის მხრივ ადამიანი და ძალაუფლების სურვილი, ხოლო შეორეს შხრივ ღვთაბრივი პრინციპი, რომელიც სამყაროს განაგებს. არსებობს ტრაგედიის ისეთი სახეობაც, სადაც ამპარტაქობას ან საკუთარ სისულელეს (როგორც აიაქსი) აყოლილი ადმინისტრაციული განსახიერებულ, ან საზოგადოებაში დამკვიდრებულ, უზენაეს წესრიგსა და კანონებს გაეჯიბრება. რაც უფრო სამართლიანია გმირის ამბობი, ხოლო წესრიგი — კანონიერი და ხელშეუვალი, მით უფრო ამაღლებული და შთაბეჭდავია ტრაგედია. შესაბამისად, ყველაფერი, რაც ტრაგედიაში წონასწორობის დარღვევას ლამობს, თვით ტრაგედიასაც ანადგურებს. თუ უზენაეს წესრიგს არავინ შეცილება და საქმე მხოლოდ შეცდომის შეწყნარებას და მონანიებას

შეეხება, ტრაგედიის მაგივრად ჩენ  
ხელთ შეგვრჩება მისტერია, იგავი, ან ის,  
რასაც ესანელები Auto sacramentales  
—რწმენისეულ ქმედებას, უწოდებრნენ.  
ჩენ ხელთ შეგვრჩება ისეთი სანახაო-  
ბა, სადაც ჭრთადერთი ჰეშმარიტება  
საზეიმოდ იქნება გაცხადებული. ამ-  
გვარად, რელიგიური დრამის არსებო-  
ბა დასაშევებია, რელიგიური ტრაგედი-  
ისა კი არა. ამითვე აისხება ის ფაქ-  
ტიც, რომ აღორძინების ეპოქამდე ტრა-  
გედია არ გვქონია. ქრისტიანობა მთელ  
სამყაროს, ადამიანს და საზოგადოებ-  
ას ღვთაებრივ წესრიგს უმორჩილებს.  
დაბაბულობა ადამიანსა და ღვთაებრივ  
წესრიგს მორის აღარ არსებობს. მაგ-  
რამ სულიერი ჰეშმარიტების მოპოვე-  
ბის სურვილი ადამიანის უმცრებას,  
ცხოვრებისეულ სიღუხვირეს, ხორცი-  
ელ ვნებათა ღლვას ეწინააღმდეგება.  
ისტორიაში არსებობს ალბათ მხოლ-  
ოდ ერთი ჰეშმარიტად ქრისტიანუ-  
ლი ტრაგედია, რომელიც გოლგოთას  
მთაზე, იმ გაელვებასავით გარდასულ  
წამში ახმიანდა, როცა ხმამაღლა ითქ-  
ვა „მამაო ჩემო, რად მიმატოვე?“

ეს წამიერი ეჭვი, თავად ტრაგიკუ-  
ლი სიტუაციის სიმბიოზ შთანთქა და  
შეიწირა. მას შემდეგ ქრისტეს ღვთაე-  
ბრიობა ეჭვით აღარავს — შეუბდალავს.  
ღმერთის სადიდებელი ყოველდღიური  
მესა კი დასავლეთში საულიერო ფო-  
რმად იქცა. ის აღარაა აღმოჩენა, ის  
მხოლოდ განვლილის რეპეტიციაა.

საპირისპიროდ, კველაუერი, რაც  
პიროვნებას ათავისუფლებს და არსე-  
ბობის იღუმალების ნეგაციით მთელ  
სამყაროს მის საკუთარ ადამიანურ  
კანონებს უქვემდებარებს, ტრაგედიას  
სპობს. ამგვარად, ათეისტური, თუ რა-  
ციონალისტური ტრაგედიის არსებო-  
ბაც შეუძლებელია. იქ, სადაც კველა-  
უერი იღუმალებითაა მოცული, ტრა-  
გედია არ არსებობს. იქ, სადაც კველა-  
უერი გამართლებულია, ტრაგედია  
კვდება. ტრაგედია ჩრდილსა და სინა-  
თლეს შორის და მათი დაპირისპირები-  
თ იბადება. ეს გასაგებიცაა. რელიგიუ-  
რი, ან ათეისტურ დრამიში პრობლემა

წინასწარ არის გადაწყვეტილება და დამდებარებულ ტრაგედიაში პირიქით. კმითო ჯა-  
ნყდება და უარყოფს წესრიგს, რო-  
მელიც მას ავიწროობს, უზენაესი ძა-  
ლაუფლება დაპირისპირების გზით  
მტკაცდება იმდენად, რამდენადაც ის  
უარყოფილია. სხვაგვარად, ვერც მხო-  
ლოდ ჯანყი შექმნის ტრაგედიას და  
ვერც ღვთაებრივი წესრიგის განმტკი-  
ცება. საჭიროა ჯანყიც და წესრიგიც,  
და აგრეთვე, მათ შორის ურთიერთგა-  
საძლიერებლად გადებული ურთიერთ-  
საყრდენი ხილი. წინასწარმეტყველია  
მიერ ნაქადაგვე ბედისწერის გარეშე  
ოდიპოსი ვერ იარსებებდა, ვერც ბე-  
დისწერა იქნებოდა ესიღენ ძლევამო-  
სილი, ოდიპოსს რომ არ უგულებელ-  
ეყო იგი.

თუ ტრაგედია სიკვდილით ან დას-  
ჯით გვირგვინდება, უნდა გვახსოვდეს,  
რომ ისჯება არა დანაშაული, არამედ  
უმეცრება გმირისა, რომელმაც წინას-  
წორობა და დაბაბულობა უარჲო. რა  
თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს იღვ-  
ალური ტრაგიკული სიტუაცია. მაგა-  
ლითად, ესქილე, რომელიც ძალიან  
ახლოს დგას ტრაგედიის სასულიერო  
და დონისეულ საწყისებთან, ტრილო-  
გიის ბოლო ნაწილში დიდსულოვნად  
ამართლებს პრომეტეს, ერინიებს კა  
ევმენიდებად აქცევს. სოფოკლესთან  
წინასწორობა ძირითადად აბსოლუ-  
ტურია და სწორედ ამიტომ არის სო-  
ფოკლე საუკეთესო კველა დროის ტრა-  
გიკოს პოტებს შორის. ევრიპიდე ტრაგ-  
იკულ წინასწორობას უკვე პიროვნები-  
სა და მისი ფსიქოლოგიის სასაკვებლოდ  
არღვევს. ამგვარად, იგი ინდივიდუალი-  
სტური დრამის წარმოშობას და აქედან  
გამომდინარე ტრაგედიის დეკადანსა  
გვაუწევს. შექსპირის დიდი ტრაგედი-  
ებიც იჭრებიან იმ კოსმიურ უსასრუ-  
ლო იღუმალებაში, რომელიც ჯერ კი-  
დევ ამოუცნობ წინააღმდეგობას უქმ-  
ნის გმირთა შლევ წამოწყებებს. კორ-  
ნელი თავის ტრაგედიებში პიროვნების  
მორალს ამარჯვებინებს და მისი (მო-  
რალის) სრულყოფითა და განდიდებით.



ტრაგედიის ქანრის დასასრულს წინა-  
სწარმეტყველებს.

ამგარად, ტრაგედია უკიდურესი  
ნაპილიზმისა და უსასრულო იმედებს  
შორისაა მოთავსებული და ამ ორ სა-  
ბარისპირო წერტილს შეუა მერყეობს.  
ჩემის აზრით, ეს სრული ჭეშმარიტე-  
ბაა. გმირი უარყოფს წესრიგს, რომე-  
ლიც მას ანადგურებს, ხოლო უზენა-  
ესი წესრიგი ანადგურებს გმირს, რა-  
მეუა უარყოფილია მის მიერ. სწორ-  
ედ ამგარად მუდავნდება მათი ურთი-  
ერთარსებობა, სადავო, საეჭვო მომენ-  
ტებშიც კი. ქორი ყოველივეს აჯამებს  
და აკეთებს დასკვნას, რომ არსებობს  
წესრიგი, რომ ეს წესრიგი შეიძლება  
აუტონელიც კი იყოს, მაგრამ გაცილე-  
ბით აუტანდლი და უარესია არა სცნო  
იგი და არ დაემორჩილო მას. განწმე-  
ნდა ჩნდება მაშინ, როცა არც არაფერს  
უარყოფ და არც გამორიცხავ, როცა  
ემორჩილები არსებობის იღუმალებას,  
არ სცილდება აღამიანისათვის დადგე-  
ნილ ზღვრის და არ უარყოფ წესრიგს,  
რომელსაც სცნოს, მაგრამ არ აცნო-  
ბიერებ. „ყველაფერი რიგზეა“, —  
ამბობს თიდიპოსი, თვალები კი უკ-  
ვ დათხრილი აქვს. იგი, მართალია,  
კვლარასოდეს დაინახავს, მაგრამ მან  
იცის, რომ მისი უკუნეოთი იგივე ნათე-  
ლია. ამ პკვდარი თვალების ზედაპირ-  
ზე ტრაგიკული სამყაროს უზენაესი  
კანონი ამოიკითხება.

რა შეგვინა ჩვენმა მსჯელობამ? სამუ-  
შაო ჰაბოთება, ცოტაოდენი ჭევის  
სწავლება და სხვა არაფერი. ასე გან-  
საჯეთ და ტრაგედია დასავლეთში,  
თითქოს მართლაც მხოლოდ იმ დროს  
აღმოცენდება, როცა ცივილიზაციის  
ისარი უზენაეს სამყაროსა და ადამია-  
ნების ირგვლივ გაშენებულ სამყარო-  
საგან, თანაბარი მანძილითა დაშორე-  
ბული. რცი საუკუნის ინტერვალით,  
მხოლოდ ორჯერ წარსდგება ჩვენს წი-  
ნაშე ჯერ კიდევ წმინდა გრძნობებით  
გაჯერებული სამყარო და საკუთარი  
ფიოთყოფილობით გართული ადამიანი,  
რომელიც ამბობისთვის შემზადებულ-  
ა. ორივე შემთხვევაში პიროვნება,

სულ უფრო და უფრო თვითდაჯერე-  
ბული ხდება, ამის გამო წონასწორობა იმა-  
რღვევა და ტრაგიკულიც ნელ-ნელ;  
ქრება. ნიცშე, გარკვეულწილად მარ-  
თალია, როდესაც სოკრატეს ანტიკუ-  
რი ტრაგედიის მესაფლავეს უწოდებს.  
იგივეს ვატყოდი დეკარტეზეც, რომე-  
ლიც აღორძინების წიაღში დაბადე-  
ბული ტრაგიკული ხელოვნების დასა-  
სრული იწინასწარმეტყველა და მო-  
ამზადა, აქვე დავამატებდი, რომ რენე-  
სანსისძროინდელ ტრადიციულ ქრი-  
სტიანულ სამყაროს და მსიფლმხედვე-  
ლობას სწორედ რეფორმაციამ, სამ-  
ყაროთა აღმოჩენამ და მეცნიერული  
აზრის განვითარებამ მრურყია საფუძ-  
ველი. სწორედ მაშინ, როცა ადამიან-  
მა ხმა აღიმაღლა ყოველივე წმინდისა  
და ბედიღბლის წინააღმდეგ, თეატრს  
მოევლინა შექსპირი და თავისი ნაწა-  
რობებით დაუპარისპირდა ამა ქვეყ-  
ნის სასტიკ და იმავდროულად მართე-  
ბულ წესრიგს, სიკვდილმა და სიბრა-  
ლულმა კვლავ აასო სცნა და ხელა-  
ხლა გაისმა ტრაგედიის ამსახველი  
ფრაზა: „ჩემი სასოწარკვეთა თვით სი-  
ცოცხლეს ჰქმნის და ახარებს“. შემ-  
დეგ სასწორი ისევ სხვა შხარეს გადა-  
იხარა და ტრაგედიის განვითარება, ამ-  
ჯერად კამერული საწყისის სრულყო-  
ფით, რასინმა და ფრანგულმა ტრაგე-  
დიამ დაასრულა. დეკარტეს მოძღვრე-  
ბითა და ახალი მეცნიერებით შეიარა-  
ღებული, გალალებული გონება პირო-  
ვნების უფლებებზე იწყებს დალაპს და  
ცენაც ცარიელდება, რადგან ტრა-  
გედია ქუჩაში გადაინაცვლებს და რე-  
ვოლუციის სისხლიან ფიცარნაგზე  
დაიდებს ბინას. რომანტიზმი კე-  
ქმნის ტრაგედიას, იგი მხოლოდ დრა-  
მას გასწვდება. ამ პერიოდის დრამა-  
ტურგთა შორის მხოლოდ კლასტიკა  
და შილერის შემოქმედება აღწევს ჭე-  
შმარიტ სიმაღლეებს. ადამიანი მარ-  
ტოა, ე. ი. ის არავის ებრძვის, საკუ-  
თარი თავის გარდა. ის აღარ არის  
ტრაგიკული, ის უფრო ფათერაკების  
მაძიებელია; დრამა და რომანი ასეთ  
ადამიანს გაცილებით უკეთ აღწერს და

წარმოგვიჩენს, ვიდრე ხელოვნების ნებისმიერი სხვა ქანრი. ამგვარად ქრება თვით ტრაგედიის სული, რომელიც, ვფიქრობ, დღესაც გამქრალია, რადგან ჩვენი დროის უსასტიკესი ომები ვერც ერთი ტრაგიკული პოეტის შთავონების წყაროდ ვერ იქცა.

მაშ რაღა გვაიმედებს? რატომ გვგონა, რომ ტრაგედია შეიძლება აღორძინდეს. თუ ზემოთ წამოჭრილი პიპოთება მართებულია, ერთადერთ იმედად ინდივიდუალიზმის აშკარა სახეცვლილება უნდა დაგასახოთ. იმედის-მომცემია აგრეთვე ისტორიის წერის; ქვემ მოცეული პიროვნების მიერ საკუთარ შესაძლებლობათა ზღვარის შეცნობა. სამყაროშ, რომელსაც XVIII საუკ. პიროვნება გონიებისა და მცნიერების მეშვეობით იმორჩილებდა და აწესრიგებდა, მართლაც მწყობრი, გამართული, მაგრამ ამასთანავე სასტიკა სახე მიიღო. ერთდროულად რაციონალური და თანაც უსასრულო, იგი ისტორიის სამყაროდ იქცა. სწორედ ამ უსასრულობის გამო გარდაისახა ისტორია ბედისწერად, ხოლო ადამიანის მისი დამორჩილების იმედი დაეკარგა. ადამიანს ამ სამყაროში მხოლოდ ბრძოლის უნარიდა შერჩა. უცნაური პარადოქსია, იმ იარაღით, რომლითაც კაცობრიობა ფატალურ ბედისწერას გაუმტკლავდა, ხელახლა გამომძრწა პირქში ბედილბალი. აქცია რა თავისი თავი ღმერთად, ადამიანი იმავ ღმერთის პირისპირ დადგა. აბსოლუტურ იმედსა და რეალურ უკვებს შორის მოქცეული, მებრძოლი და ამასთანავე გზააბნეული ადამიანი მუდმივად ეკამათება საკუთარ თავს. აქციან გამომდინარე, იგი ტრაგიკულ ატმოსფეროში ცხოვრიბს. იქნებ სწორედ ამ გარემოებით აეხსნათ ტრაგედიის სავარაუდო აღორძინება? თანამედროვე ადამიანი, რომელიც თავის ამბოხს აცხადებს და თანაც იცის, რომ მის ამბოხს სახლვრები გააჩნია, რომელიც ულობს თავისუფლებას, მაგრამ აუცილებლობასაც სცნობს, რომელიც წი-

ნაალმდევობის ჟინით არის შეცვლობული და თანაც გაორებულა, თვით ადამიანისა და ისტორიის როაზროვნებაში არის დარწმუნებული —ასეთი ადამიანი უაღრესად ტრაგიკული პიროვნებაა. იგი ისწრაფვის შექმნას საკუთარი ტრაგედია, რომელიც სრულიქმნება იმ დღეს, როდესაც „შველაფერი პერილ“ არს“...

და მართლაც, ფრანგული ღრამატული ხელოვნების აღორძინების პროცესში, ჩვენ, ღრამატურგები, სწორედ ამ მიმართულებით, მაგრამ სამწუხაოდ, ხელის ფათურით, მივიკვლეულ გზას, ხელის ფათურით, იმიტომ ვაჭბობ, რომ ჩვენი ღრამატული ავტორები ტრაგედიის ახალ ენას დაეძებინ. მათ იციან, რომ შესაფერისი ენის გარეშე ტრაგედია ვერ იარსებებს. ამასთანვე, ამ ენის მოძებნა, თუ შექმნამალიან მნიერი მეჩვენება, რადგან გასათვალისწინებელია ტრაგიკული სიტუაციის გველა წინააღმდევობა. ეს ენა ერთდროულად წმინდა და ყოველდღიური, ბარბაროსული და განსწავლული, იღუმალი და ნათელი, ამაღლებული და გულისამაჩუქურებელი უნდა იყოს. ტრაგედიის ბუნებისა და ენის ძიების პროცესში ჩვენი ავტორები ისევე პირველწევაროს მიმართავენ და იმ ტრაგიკულ ეპოქებს უბრუნდებიან, რომელზეც ეხლახან გესაუბრეთ. აღბათ ამიტომაც გაცოცხლდა ჩვენში ბერძნული ტრაგედია, თუმცა გაცოცხლდა იმ ერთადერთი შესაძლებელი ფორმით, რომელიც თანამედროვე ინდივიდუალისტურ აზროვნებას პაროდირება, ანუ იუმორითა და ფანტაზიით მათი სათუთი ლიტერატურული ტრანსპონირება. ვფიქრობ, მხოლოდ კომიკურის ბუნება შეინარჩუნა ხელუხლებლად ადამიანმა იმ უსხსოვარი დროიდან. ტრაგედიისადმი მსგავსი დამოკიდებულების შესანიშნავი მაგალითები შემოგვთავაზეს



ანდრე უილმა და უან უიროლუმ, ანრი დე მონტერლანბა და პოლ კლიფდელმა\*...

ეს შესანიშნავი ნაწყვეტები, ვფიქრობ, ოდანაც მაინც დაგარწმუნებთ, რომ თანამედროვე ტრაგედიის აღორძინება შეუძლებელი სულაც არ არის. ჭეშმარიტი ტრაგედიისაკენ მიმავალი გზა კრძლი და მძიმეა. თანაც ჯერ თვით სსწორადებამ უნდა განვლოს იგი, რათა თავისუფლებისა და აუცილებლობის სინთეზი მოიძიოს და გააცნობიეროს. ეს გზა თითოეულმა ჩვენთაგანმაც უნდა განვლოს, რათა ამბოხის ძალაც შეინარჩუნოს და არც ნეგაციის უნარი დათოს. სწორედ ამგარად დაგვიძრუნდება და განვითარდება ტრაგეტული სულისკვეთება. სწორედ ამგვარად შეიძენს ახალ ფორმებსა და გამოშვახველობით საშუალებებს ტრაგეტულის ხელოვნება. ერთსაც დავამტებდი: დღეს თქვენთვის თანამედროვე მაღალი ტრაგედიიდან ნაწყვეტი არ წამიკითხია, რადგან ასეთი ტრაგედია ჯერკერობით არ გაგვაჩნია. იმისთვის კი, რომ დაიბადოს, ჩვენ მოთმინება და გენიოსი გაჭირდება.

ქვე გამოგიტყვდებით, რომ მსურდა დამეტტყიცებინა თქვენთვის, რომ საურანგოთში, დრამატული ხელოვნების ცის კიდეზე მაინც შეინიშნება ერთგვარი ნისლოვანებანი, რომლის წიაღში ხელ-ნელა იკვრცბა კოაგულაციათა ბირთვი. ეს ნისლოვანებანი შეიძლება კოსმიურმა ქარიშხალმა წალევოს. და მასთან ერთად გაიყოლიოს სხვა პლანტებიც, მაგრამ მოძრაობა არ შეწყდება. უამინდობის მიუხედავად იგი გაგრძელდება მანამ, სანამ ერთ დღეს დასავლეთში ჭეშმარიტი ტრაგედიის

დაბადების მოწმენი არ გავხდებით. ეს დღე ნებისმიერ სხვა ქვეყანაშიც შეიძლება დადგეს. ამასთანავე, მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ სწორედ საურანგეთში შეიმჩნევა ტრაგედიის განახლების მომასწავებული ნიშნები. მერწმუნეთ, ყოველივეს ნაციონალიზმის გარეშე ვამბობ, მე მიყვარს ჩემი ქვეყანა და სწორედ ამიტომ არა ვარ ნაციონალისტი. დიახ, საფრანგეთში! მაგრამ, მე ვფიქრობ და იმედია თქვენც დამეთანხმებით, რადგან აქამდე უკვე ბევრი ვილაპარაკე ამის შესახებ, რომ მავალითად და უშრეტ წყაროდ ჩვენთვის, ფრანგებისათვის, მაინც საბერძნების გრძია რჩება. სწორედ ამიტომ ჩვენს უკანასკნელ შეხვედრას რომ წერტილი დაგუშვა და თანაც ფრანგი მწერლებისა და პირადად ჩემი მაღლიერება გაუწყოთ ჩვენი საერთო სამშობლოს – საბერძნეთის მიმართ, მც გადაწყვიტე კიდევ ერთა ნაწყვეტი წაგიკითხო. ვფიქრობ, უკეთეს ვერას მოვნახავდი...

მე წაგიკითხავთ ერთ უშვენიერეს და უძლიერეს მონაკვეთს, რომლის ტრანსპონირება პოლ კლოდელმა ესქილეს „აგამენონიდან“ გააკეთა, რომელშიც ჩვენი ორი ენა თანაბარა სიძლიერით იჭრება, იხლართება ერთი მეორეში და ერთ მომაჯადოებელ უჩვეულო ენას ქმნის.

ფრანგულიდან თარგმა  
ირიც ლოდობერიძე

\* ა. კამიუ კითხულობს და კომენტარს უკეთებს ნაწყვეტებს. თანამედროვე ფრანგი მწერლების ნაწარმოებებიდან (ა. უალი „აგამენონი“, ჟ. უიროლუ „ტრავს მოის არ იქნება“, ა. მონტერლანი „პორტუაიალი“, პ. კლოდელის „შუალის გარა“ და სხვ. სამწუხაროდ ვერც ერთ ფრანგულ გამოცემში ვერ დავიზუსტე თუ რომელ ნაწყვეტი შეარჩია ა. კამიუმ. ამრიგად, ორიგინალური ტექსტის გარეშე, კომენტარის თარგმანი გაუმართლებლად მივიჩნიე.